(1997)

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის **<u>რეზოლუცია</u> აფხაზეთის(საქართველო)კონფლიქტის შესახებ**

1. ხაზს ვუსვამთ რა ეუთო-ს როლის მნიშვნელობას აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის პოლიტიკური მოწერიგების საქმეში;

2. კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ კონფლიქტი უნდა გადაწყდეს საერთაშორისო სამართლის აღიარებული პრინციპებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების, ეუთოს ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტების, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და დსთ-ის შესაბამისი ორგანოების რეზოლუციების და გადაწყვეტილებების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, აფხაზეთისათვის ფართო ავტონომიის მინიჭებას და ჩადენილი ეთნიკური წმენდის შედეგების აღმოფხვრას ეუთოს ლისაბონის სამიტის გადაწყვეტილების შესაბამისად;

3. ხაზს ვუსვამთ რა, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებების დაცვის პრიორიტეტებს, მათ შორის ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნების უფლებას, ამასთან აღვნიშნავთ, რომ ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა დაბრუნება უნდა გახდეს ნებისმიერი მოლაპარაკების ძირითადი ელემენტი;

4. მხარს ვუჭერთ რა აფხაზეთის კონფლიქტის თაობაზე საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის იდეას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდითა და ეუთოს, "საქართველოს მეგობრების˜ ჯგუფის, კონფლიქტის მხარეების მონაწილეობითა და რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობის, როლის გათვალისწინებით;

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გადაუდებლად და აუცილებლად მიგვაჩნია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც გაითვალისწინებს ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მძიმე სიტუაციას, რაც გამოწვეულია აფხაზეთის კონფლიქტის მოლაპარაკების თაობაზე რაიმე რეალური პროგრესის არარსებობით და გამომდინარე იქიდან, რომ 1997 წლის 31 ივლისს იწურება დსთ-ის სამშვიდობო ძალების ყოფნის ვადა კონფლიქტის ზონაში.